განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **შორენა ჯაფარიძე,** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

წევრები: **ნინო გორგოშაძე,** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

ნია გუგუნავა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **245427337**

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [ ] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 15 იანვრისN27 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე - შორენა ჯაფარიძე, ჯგუფის წევრები - ნინო გორგოშაძე, ნია გუგუნავა) 2019 წლის 30 და 31 იანვარს განახორციელა ვიზიტი სსიპ სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ექსპერტთა ჯგუფის წევრს, ნია გუგუნავას, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტს, დამატებით ფუნქციად განესაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობის შემოწმება და შეფასება.

ვიზიტი განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, რომელიც წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას. **(დანართი 1)**
ვიზიტის პერიოდში განხორციელდა პროგრამების, მოდულების, სასწავლო გეგმების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მექანიზმების, ასევე პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემოწმება, ანალიზი, შეფასება. ექსპერტებმა შეისწავლეს და გააანალიზეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა და ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები. ექსპერტებმა დაათვალიერეს და შეაფასეს პროგრამებისთვის განსაზღვრული ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადაამოწმეს პროგრამების მატერიალური რესურსის ფლობის/საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ჩატარდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის საქმიანობის და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის, მათთან დადებული ხელშეკრულებების შემოწმება.

ექსპერტებმა შეისწავლეს საწარმო/საცურაო პრაქტიკის განხორციელების მეთოდოლოგია და სპეციფიკა, პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები. განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე და მათ შორის, დაწესებულების საკუთრებაში არსებულ სასწავლო გემზე „კადეტი“. შემოწმდა გემებზე საწარმოო/საცურაო პრაქტიკის განხორციელების პირობები, გადამოწმდა თუ რა რაოდენობის პროფესიული სტუდენტი შეძლებს ერთროულად საწარმო პრაქტიკის გავლას.

ვიზიტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო პროფესიული პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის ინტერვიუირებას. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

ადმინისტრაციულ პერსონალს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმოადგენლებს, პროგრამების ხელმძღვანელებს, პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებლებს, პრაქტიკის კოორდინატორებს, ინსტრუქტორებს.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 15 იანვრის N27 ბრძანებით დამატებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტმა, ნია გუგუნავამ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დროს, გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე შეაფასა საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში პროფესიული სწავლებისთვის ცალკე მდებარე ორ-სართულიანი კორპუსის პირველი სართული არის გამოყოფილი, თუმცა წარმოდგენილი პროფესიული პროგრამების თეორიული და პრატიკული მეცადინეობების ნაწილი გათვალისწინებულია სხვა კორპუსებში, სადაც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება. დადგინდა, რომ უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2 ცვლაში მეცადინეობების დაგეგმვის შემთხვევაში დაწესებულების ინფრასტრუქტურა, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს როგორც უმაღლესი, ასევე ახალი პროფესიული პროგრამების განხორციელებას პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი კვოტის ფარგლებში (თითოეულ პროგრამაზე 150-150 პროფესიული სტუდენტი)
ექსპერტების აზრით, დაწესებულებამ პროფესიული სწავლების განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი და თანმიმდევრული ნაბიჯები გადადგა, რაზეც მეტყველებს ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ: პროფესიული სწავლების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება, პროფესიული მომზადების ცენტრის „2018-2019 წწ. წლიური სამოქმედო გეგმის“ შემუშავება, პროფესიული სწავლების მარეგულერებელი დოკუმენტაციის პაკეტის მომზადება. ასევე შემუშავებულია „2018 წლის 1 სექტემბრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საიმპლემენტაციო გეგმა“, სადაც გათვალისწინებულია პროფესიული სწავლების მიმართულებით დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულება და მითითებულია კონკრეტული ვადები. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა ასევე წარმოადგინეს რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულებაში პროფესიული სწავლების შემდგომ განვითარებას.

ვიზიტის ყოველი დღის ბოლოს ჯგუფის თავმჯდომარე აწყობდა შემაჯამებელ განხილვას ჯგუფის წევრებთან, ხოლო, სამუშაო ვიზიტის დასასრულს, ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას გააცნო ვიზიტის პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“
- „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

	შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები			
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	□	■
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე წაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	□	■
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

	პროფესიული სტუდენტებისათვის;			
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტებმა გააანალიზეს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საქმიანობა და გამოკვეთეს ის ძირითადი მიმართულებები, რომელიც შეიძლება საუკეთესო გამოცდილების მაგალითებად ჩაითვალოს.

<u>**ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.**</u>

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გააჩნია პროგრამების განხორციელებისთვის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სრულად აკმაყოფილებს არა მარტო პროგრამებით დადგენილ პირობებს, არამედ საზღვაო სფეროში არსებულ საერთშორისო კონვენციებით და სტანდარტებით განსაზღვრულ საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს. პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

განხორციელებისთვის დაწესებულების საკუთრებაში არის საწვრთნელი გემი „კადეტი“. დაწესებულების ბაზაზე ფუნქციონირებს მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი.
რეგულარულად ხდება დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის შემოწმება საერთაშორისო ნორმებთან მიმართებაში და მისი განახლება. შემოწმებაში ჩართულია როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოში არსებული სხვადასხვა ორგანიზაცია და უწყება, მაგალითად საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, ასევე 5 წელიწადში ერთხელ საქართველოს საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებები გადიან ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს აუდიტს, სადაც მოწმდება სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საწვრთნელი გარემო.
სწორედ ეს არის ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებას და მის შესაბამისობას საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო მოთხოვნებთან.

<u>საზღვაო მიმართულების პროგრამების განხორციელებაზე მკაფიო ორიენტაცია</u>

ბათუმის საზღვაო აკადემია დიდი ტრადიციების მქონე დაწესებულებაა, რომელიც მრავალწლიანი არსებობის პერიოდში მკაფიოდ ორიენტირებულია საზღვაო მიმართულების პროგრამების განხორციელებაზე. დაწესებულების როგორც აკადემიური, ასე პროფესიული პროგრამები სთავაზობენ სტუდენტებს განათლების მიღების შესაძლებლობას საზღვაო ინდუსტრიის ფართო სპექტრში.
ფაქტობრივად, ბათუმის საზღვაო აკადემია წარმოადგენს საქართველოში საზღვაო განათლების ფლაგმანს.

<u>ორიენტაცია ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე</u>

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მიმდინარე პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა ორი სტრუქტურული ერთეულის კოორდინირებული მუშაობით მიმდინარეობს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული, და ISO სტანდარტების უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მართვას სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხარისხის სტანდარტის ISO 9001:2015 საფუძველზე.
აღსანიშნავია, რომ საერთასორისო მოთხოვნების შესაბამისად, ISO 9001 სერტიკიკატის ფლობა საზღვაო მიმართულების პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების აღიარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. სტანდარტის შესაბამისობასთან დადგენის მიზნით 2017 წ. 21 აპრილს ჩატარდა სასერტიფიკაციო აუდიტი. 2017 წ. 25 მაისის გადაწყვეტილებით (N 16.0345.0216) საზღვაო აკადემიას მიენიჭა ISO 9001:2015 სისტემის შესაბამისობის სერტიფიკატი.
ორგანიზაციაში აღნიშნული სტანდარტების დანერგვა გულისხმობს, რომ დაწესებულება ორიენტირებულია და ზრუნავს ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე, და მომხმარებლების (სტუდენტები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

დამსაქმებლები, მშობლები და სხვა დაინტერესებული პირები) მოთხოვნებისა და მოლოდინის დაკმაყოფილებაზე.

საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო და საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.
საზღვაო აკადემია არის ისეთი ორგანიზაციების წევრი, როგორიცაა: IASST– უშიშროებისა და გადარჩენის წვრთნების (მომზადების) საერთასორისო ასოციაცია, Global MET – გლობალური საზღვაო განათლება და მომზადება, BSAMI-ს შავი ზღვისპირეთის საზღვაო სასწავლებლების ასოციაცია,

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 2.3. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი გ)

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი არ შეესაბამება „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას;

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების ნაწილში მითითებული ლიტერატურა არ მოიპოვებოდა დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდში, რაც წარმოადგენს ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 /პუნქტი გ (ქვესტანდარტი 2.3) დარღვევას და ექსპერტების მიერ აღნიშნული გარემოება დაფიქსირდა, როგორც ფორმალური ხარვეზი. როგორც აღმოჩნდა, დაწესებულება გეგმავდა მოდულებში წარმოდგენილ სასწალო რესურსში ცვლილებების შეტანას, საკითხი განხილული იყო პროფრსიული მომზადების ცენტრის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო სხდომაზე, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო (მათ შორის, დაწესებულებაში არსებული მოდულებში ცვლილებების შეტანის გართულებული მექანიზმი), მოდულებში ცვლილებების შეტანა და დამტკიცება ვერ მოხერხდა ვიზიტის პერიოდში.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1

1. **რეკომენდებულია,** რომ პროფესიული სწავლების მარეგულირებელ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ტერმინოლოგია შესაბამისობაში იქნას მოყვანილი 2018 წლის 20 სექტემბერს მიღებულ „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალ კანონთან .
2. **რეკომენდებულია,** რომ ბათუმის საზღვაო აკადემიის წესდებაში აისახოს პროფესიული განათლების სპეციფიკასთან დაკავშირებული საკითხები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

3. **<u>რეკომენდებულია,</u>** რომ გამარტივდეს პროფესიული პროგრამების დამტკიცების, ცვლილებების შეტანის მექანიზმები, მათი მოქნილობის
4. **<u>რეკომენდებულია,</u>** რომ პროფესიული სტუდენტების განმეორებითი შეფასების მექანიზმის დახვეწის მიზნით, მარეგილირებელ დოკუმენტაციის შესაბამის ნაწილში ნათად ჩამოყალიბდეს განმეორებითი შეფასების პირობები, მეორეს მხრივ სასწავლო გეგმების შედგენისას განთალისწინებული იყოს განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის დროის ინტერვალის დაცვით.

<u>ქვესტანდარტი 1.2.</u>

5. **სასურველია,** რომ კატალოიგი ერთიან ფორმატით იყოს წარმოდგენილი

<u>ქვესტანდარტი 1.4.</u>

6. **რეკომენდებუილია,** რომ "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში" წარმოდგენილ სტუდენტთა ჩარიცხვის წესში გაიწეროს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული წესი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული წესი;
7. **რეკომენდებუილია,** რომ "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში" დაკონკრეტდეს, თუ რამდენი მოდულის ვერ დაძლევა გახდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი; დაკონკრეტდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და შეჩერების საფუძვლები.

ქვესტანდარტი 3.3.

8. **<u>რეკომენდებულია,</u>** რომ წესდებაში, მარეგიულირებელ დოკუმენტაციაში გაიმიჯნოს მოწვეული მასწავლებლის და პროფესიული მასწავლებლის ცნება, მკაფიოდ ჩამოყალიბდეს პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პროფესიულ განათლებაში არსებული მოთხოვნების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

VII. დაწესებულების მისია

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიაა:

„ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკის საზღვაო სექტორის ინტეგრაციას ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში და საქართველოს მოწინავე საზღვაო ქვეყნად ჩამოყალიბებას;

შეინარჩუნოს და განავითაროს საზღვაო ინდუსტრიასა და მომიჯნავე სფეროებში მაღალკვალიფიციური პერსონალის მომზადების ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული უმაღლესი, პროფესიული და უწყვეტი განათლების განმახორციელებელი საგანმანათლებლო ცენტრის სტატუსი;

განახორციელოს საზღვაო და მომიჯნავე სფეროს სპეციალისტების მომზადება დარგის პრაქტიკულ ცოდნასა და სწავლების თანამედროვე, ინოვაციურ მიღწევებსა და მეთოდებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და საწვრთნელი პროგრამების მეშვეობით;

მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პასუხისმგებლიანი ლიდერები, რომელთაც ექნებათ პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, გუნდში მუშაობის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კომუნიკაციის უნარები, მაღალი ეთიკური ნორმები, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობასა და კარიერულ წარმატებას დასაქმების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე;

იხელმძღვანელოს დემოკრატიისა და ჰუმანიზმის, გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის, ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპებით და უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება, განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატების მისაღწევად ითანამშრომლოს სტუდენტებთან, პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან, საზოგადოების სხვა დაინტერესებულ პირებთან;

გააძლიეროს და განაახლოს საერთაშორისო კომუნიკაცია და პარტნიორული თანამშრომლობა, განავითაროს საგანმანათლებლო საქნიანობის ინტერნაციონალიზაცია;

შეასრულოს საზღვაო და მომიჯნავე სფეროში კვლევების განმახორციელებლისა და ცოდნის საზოგადოებაში გამავრცელებლის ფუნქცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (შემდგომში- დაწესებულება) არის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის N58 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა უმაღლესი განათლების პროგრამების განხორციელების უფლება და განესაზღვრა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 2727 ოდენობით, იმავე საბჭოს N59 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა 10 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება და აღნიშნულ პროგრამებზე განესაზღვრა პროფესიული სტუდენტთა რაოდენობა - 227.

დღეისათვის დაწესებულება 8 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს. დაწესებულებაში პროფესიული სწავლება დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - პროფესიული მომზადების ცენტრის ფარგლებში მიმდინარეობს.

დაწესებულებას სურს დაიმატოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) „საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება" საფუძველზე შექმნილი ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია" და „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია".**
წარმოდგენილი პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: საზღვაო მიმართულების პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების და ანაზღაურების მაჩვენებელები საკმაოდ მაღალი; პროგრამებზე სწავლის მსურველთა სტაბილურად მაღალი მოთხოვნა; საზღვაო განათლების დიპლომი აღიარებულია საერთაშორისო ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია წლების მანძილზე წარმატებით ახორციელებდა იგივე მიმართულების საგნობრივ პროგრამებს, თუმცა საკანონმდებლო ცვლილებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგად, 2019 წლის 1 იანვრიდან დაწელება არ არის უფლებამოსილი ჩარიცხოს ახალი პროფესიული სტუდენტები საგნობრივ პროგრამაზე („პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონი, მუხლი 39, პუნქტი 1). ექსპერტების აზრით, საგნობრივი პროგრამების განხორციელების გამოცდილება, უკვე არსებული ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კვალიფიციური პერსონალი - ახალი პროგრამების წარმატებით განხორციელების კარგი საფუძველია. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ პროფესიული მომზადების ცენტრის ხელმძღვანელობა, ასევე დაწესებულების წარმომადგენლები, რომლების ახალი პროგრამების განმახორციელებლებად მოიაზრებიან, აქტიურად მონაწილეობდნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის „საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება” შემუშავებაში.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეისწავლეს და გააანალიზეს წარმოდგენილი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, მათში ცვლილებების შეტანის, გაუქმების პროცესები და პროცედურები; გაეცნენ აღნიშნული პროცესების მარეგულირებელ დოკუმენტაციას, შეაფასეს მისი შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან; დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2018 წლის 27ნოემბრის N 13/15 გადაწყვეტილების საფუძველზე დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“.

დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატი („სენატის რეგლამენტის“, მუხლი 2., პუნქტი ზ).
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **„გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“** დამტკიცებულია სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2018 წლის 12 სექტემბრის N 11/6 და 2018 წლის 31 დეკემბრის N 14/1 გადაწყვეტილებების საფუძველზე.

წარმოდგენილ პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ჩამონათვალი (ზოგადი, სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები). ასევე, ინფორმაცია თუ როგორ განხორციელდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.
პროგრამის **„გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“**მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 91 კრედიტს, ხოლო ხანგრძლივობა - 71 კვირაა. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა - 106 კრედიტია, ხანგრძლივობა - 91 კვირა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“. მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 87 კრედიტს, ხოლო ხანგრძლივობა - 71 კვირაა. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა - 102 კრედიტია, ხანგრძლივობა - 91 კვირა.

პროგრამებს დანართების სახით ერთვის მოდულები, სასწავლო გეგმები როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი, მათი კვალიფიკაციის მითითებით, სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი.

წარმოდგენილ პროგრამებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა, რაზეც მეტყველებს პროგრამების სასწავლო გეგმები, რომლებიც შედგენილია მოდულების წინაპირობების, სტუდენტთა კვირეული დატვირთვის (არა უმეტეს 40 საათი კვირაში) გათვალისწინებით, ასევე მოდულების შინაარსის, მოდულების დამხმარე ჩანაწერების ნაწილში წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე. სასწავლო გეგმები ითვალისწინებს მოდულების პარალელურ რეჟიმში სწავლებას.

ექსპერტებმა გადაამოწმეს თითოეული მოდულური პროგრამის ზოგადი, სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები და დაადგინეს, რომ ისინი შემუშავებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტის მცირეოდენი ცვლილების საფუძველზე, ამასთან მათი ადაპტირება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების დაცვით არის განხორციელებული.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის მე-4 მუხლის მოთხოვნებთან. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია წარმოდგენილია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2018 წლის 27 ნოემბრის N 13/14 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დოკუმენტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მარეგულირებელი წესის მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა“.

ვიზიტის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესწავლას და პირველ რიგში, საწარმოო/საცურაოპრაქტიკის განხორციელებას. საწარმოო/საცურაო პრაქტიკის ხანგრძლივობა 6 თვეს შეადგენს და ის რეალურ სამუშაო გარემოში - გემზე მიმდინარეობს. ექსპერტებმა შეისწავლეს საწარმო/საცურაო პრაქტიკის განხორციელების მეთოდოლოგია და სპეციფიკა, პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული მიდგომები და დოკუმენტაცია. დაწესებულებაში შემუშავებულია „პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის განხორციელებისა და შეფასების წესი“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმი სსახელმწიფო საზღვაო აკადემიიის სენატის 2018 წლის 27 ნოემბრის N13/16 გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნულ დოკუმენტში დაწვრილებით არის განხილული პრაქტიკის მიზნები და შინაარსი; პრაქტიკის სახეები და ობიექტები; პრაქტიკის ორგანიზება; საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორის და საწარმოო პრაქტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

მოდულის განმახორციელებელი პირის /საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორის ფუნქციები; პროფესიული სტუდენტის მოვალეობები პრაქტიკის მიმდინარეობისას; პრაქტიკის დღიურის წარმოების წესი; პრაქტიკის ანგარიში; პრაქტიკის შეფასება და დაცვა.

საწარმო/საცურაო პრაქტიკის განხორციელების ძირითად ობიექტს წარმოადგენს დაწესებულების საკუთრებაში არსებული საწვრთნელი გემი „კადეტი", სადაც შესაძლებელია ორივე პროგრამის 80-მდე პროფესიული სტუდენტის ერთდროულად მიიღება

გარდა ამისა, დაწესებულებას დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ობიექტებთან განუსაზღვრელი ვადით, კერძოდ:

2. **შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური** - N 132-07-15062018, 15.06.2018, თითოეულ პროგრამაზე ყოველწლიურად არაუმეტეს 150 პროფესიული სტუდენტი;
3. **შპს ბლექ სი ფიშინგი**, 14.05.2018, თითოეულ პროგრამაზე ყოველწლიურად არაუმეტეს 30 პროფესიული სტუდენტი;
4. **შპს დათა-საბა** , 14.05.2018 - თითოეულ პროგრამაზე ყოველწლიურად არაუმეტეს 12 პროფესიული სტუდენტი;
5. **შპს „ელდორადო**, 14.05.2018 - თითოეულ პროგრამაზე ყოველწლიურად არაუმეტეს 60 პროფესიული სტუდენტი;
6. **შპს „ვიზარტი"**, 27.07.2018 - თითოეულ პროგრამაზე ყოველწლიურად არაუმეტეს 60 პროფესიული სტუდენტი.

განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე. ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების საკუთრებაში არსებული სასწავლო გემი „კადეტი" და შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის გემი „სისტარი", ჩაატარეს პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირების და დაწესებულებიდან გამოყოფილი პრაქტიკის კოორდინატორების ინტერვიუირება.

ადგილზე შემოწმდა, თუ როგორია პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო პირობები, რა ღონისძიებები არის გათვალისწინებული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით, რა რაოდენობის პროფესიული სტუდენტი შეძლებს ერთროულად საწარმო პრაქტიკის გავლას. დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტების დასწრების აღრიცხვა, სამუშაოს შინაარსი, უსაფრთხოება, მკაცრად რეგლამენტირებულია გემებზე დადგენილი წესებით; ასევე წესების დაცვით მოხდება პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის დღიურების შევსება, ჩანაწერების დადასტურება და შეფასება.

ვიზიტის მიმდინარეობისას განხორციელდა პროფესიული პროგრამების ადმინისტრირებაში ჩართული პერსონალის, პროგრამების შემმუშავებელი მუშა ჯგუფის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელების, ზოგადი და პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებლების, ინსტრუქტორების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების და სხვა პირების ინტერვიუირება.

<u>**ექსპერტების მიერ დაფიქსირებული შენიშვნები:**</u>

1) ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაწესებულებამ შეიმუშავა პროფესიული სწავლების მარეგულირებელი დოკუმენტაციის პაკეტი. თუმცა, რიგ შემთხვევებში, ამ <u>დოკუმენტაციაში დადგენილი დებულებანი, წესები, არ არის ასახული ან არ შეესაბამება სსიპ –</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

<u>სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდებაში</u> წარმოდგენილს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 10 ივლისის№1-1/1439 ბრძანებით. დაწესებულების ადმინისტრაციი სწარმომადგენლების განმარტებით, მომზადებულია წესდებაში ცვლილებების დოკუმენტი, თუმცა ცვლილებების დროულ შეტანას აფერხებს ბიუროკრატიული პროცედურები, რაც ცდება დაწესებულების უფლებამოსილებას.

2) დაწესებულებაში დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროცედურები (დამტკიცება, ცვლილებების შეტანა, გაუქმება, შეფასება და სხვა) აკადემიური პროგრამების მსგავსად, სენატის გადაწყვეტილებებით ხორციელდება. <u>ასეთი სქემა ვერ უზრუნველყოფს მყისიერ რეაგირებას პროფესიულ განათლებაში მიმდინარე ცვლილებებზე,</u> რაც დადასტურდა ვიზიტის პერიოდში, როდესაც დაწესებულებამ ვერ მოახერხა მოდულების სასწავლო რესურსის ცვლილებების დროულად დამტკიცება. ექსპერტების აზრით, დაწესებულებაში უნდა შემუშავდეს პროფესიულ პროგრამების განხორციელებასთან მიმართებაში გადაწყვეტილებების მიღების გამარტივებული მექანიზმი.

3) <u>დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული სწავლების მარეგულირებელ დოკუმენტაციაში გამოყენებული ტერმინოლოგიის ნაწილი არ შეესაბამება</u> 2018 წლის 20 სექტემბერს დამტკიცებულ „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონს.

4) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ წარმდგენილია მოდული „გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა“, რომელიც რამდენიმე დარგობრივი/პროფესიული მოდულის პრერეკვიზიტს წარმოადგენს. სასწავლო გეგმებში ეს მოდული სწავლის საწყის ეტაპზეა გათვალისწინებული, მისი დასრულების შემდეგ, ყოველგვარი ინტერვალის გარეშე, ჩასმულია ზემოაღნიშნული დარგობრივი/პროფესიული მოდულები. <u>„გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ მოდულის ვერ დადასტურების შემთხვევაში სასწავლო გეგმაში არ არის გათვალისწინებული განმეორებითი შეფასებისთვის გარკვეულ პერიოდი.</u> განმეორებითი შეფასების წესებს ასევე არეგულირებს დოკუმენტი “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, თუმცა იქ წარმოდგენილი წესი, ბუნდოვან ხასიათს ატარებს და საჭიროებს დაკონკრეტებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიიის სენატის გადაწყვეტილებები;
- სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიიის „სენატის რეგლამენტი“,
- დოკუმენტი „პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მარეგულირებელი წესი;
- „პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის განხორციელებისა და შეფასების წესი“,
- მოდულური პროგრამებით, მოდულებით, სასწავლო გეგმებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი). კატალოგში წარმოდგენილია როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში წარმოდგენილია ინფორმაცია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

აღსანიშნავია, რომ კატალოგი არ წარმოადგენს ერთიან დოკუმენტს. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ცალკე ფაილის სახით არის წარმოდგენილი. ახალი პროგრამების შესახებ, ინფორმაცია, თუნდაც ანოტაციის სახით, კატალოგში არ არის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებ გვერდი http://www.bsma.edu.ge/

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, კერძოდ:

- „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ 111054 - შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან „საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება -10406-პ
- „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ 111055- შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან „საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება -10406-პ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წარმოდგენილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შედარებით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები. აღნიშნული წესები გაერთიანებულია ერთიან მარეგულირებელ დოკუმენტში “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის გადაწყვეტილებით N13/14, 27.11.2018.

ზემოაღნიშნულ წესის განხილვისას ექსპერტებმა დააფიქსირეს შემდეგი გარემოებები:
აღნიშნულ წესში, არ არის გაწერილი უცხოეთში მიღებული განათლების აღარების პროცედურები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე პირმა, რომელმაც განათლება საქართველოს ფარგლებს გარეთ მიიღო, უნდა წარუდგინოს დაწესებულებას სიიპ-განათალების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან ატესტატის აღიარების დოკუმენტი, რაც რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნულ წესში, ასევე არ არის გაწერილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პროცედურები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე პირმა, რომელსაც განათლება მიღებული აქვს ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოადგინოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული აღიარების დოკუმენტი, რაც რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N 147 ბრძანებით , „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლებისა აღიარების წესის დამტკიცების შესახებ".

"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-8 მუხლი ეხება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენას. წესის თანახმად, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ერთ-ერთი საფუძველია ხანგრძლივი ავადმყოფობა და უცხო ქვეყანაში ხანგრძლივი დროით გამგზავრება. აღნიშნული ჩანაწერი არის ბუნდოვანი და არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას თუ დროის რა ხანგრძლივობა ჩაითვლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლად. ასევე, ამავე წესში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად სახელდება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების ვერ დაძლევა, ხოლო რამდენი მოდულის ვერ დაძლევა გახდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი არ არის დაკონკრეტებული.

ამავე წესში, ასევე არ არის გაწერილი, თუ რამდენჯერ აქვს სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება და დროის რა ინტერვალია დაცული წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის, რათა არ შეიქმნას განმერებითი შეფასების ჩატარების პრობლემა.

რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაცია გაწეროს სტუდენტთა ჩარიცხვის წესში;
- დაწესებულებამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაცია გაწეროს სტუდენტთა ჩარიცხვის წესში;
- დაკონკრეტდეს, თუ რამდენი მოდულის ვერ დაძლევა გახდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი;
- დაკონკრეტდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და შეჩერების საფუძვლები;
- აღნიშნულ წესში გაიწეროს პროფესიულ სტუდენტთა განმეორებით გამოცდაზე გასვლის რაოდენობისა და წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის დროის ინტერვალის დაცვის შესახებ, რათა არ შეიქმნას განმერებითი შეფასების ჩატარების პრობლემა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის გადაწყვეტილება N13/14, 27.11.2018.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გათვალისწინებულია "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში". დაწესებულებას, სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი"-სთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის შორის. 16.20.2017წ.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა ორი სტრუქტურული ერთეულის კოორდინირებული მუშაობით ხორციელდება - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორიენტირებულია საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობაზე და არსებული მდგომარეობის შეფასებაზე. სამსახურის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკის მინისტრის №1-1/1439 ბრძანებით დამტკიცებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდებით.

2017 წ. 25 მაისის საზღვაო აკადემიას მიენიჭა ISO 9001:2015 სისტემის შესაბამისობის სერტიფიკატი, რაც გულისხმობს, რომ საზღვაო აკადემიის ხარისხის მართვის სისტემა შესაბამისობაშია სტანდარტიზაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

საერთაშორისო ორგანიზაციის ხარისხის სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებთან. აღსანიშნავია, რომ საერთასორისო მოთხოვნების შესაბამისად, ISO 9001 სერტიკიკატის ფლობა აუცილებელ პირობას წარმოადგენს საზღვაო მიმართულების პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების აღიარებისთვის.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაწესებულებაში შეისწავლეს სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სისტემა, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, მარეგულირებელი დოკუმენტაცია, მექანიზმების პრაქტიკული განხორციელების მტკიცებულებანი. დადგინდა, რომ დაწესებულების ხარისხის მართვის სიტემა ეფუძნება დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება მოდელს. დაწესებულებაში შემუშავებულია მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს სისტემის ეფექტიანობას: პოლიტიკა ხარისხის დარგში, მიზნები ხარისხის სფეროში, ხარისხის სახელმძღვანელო, დოკუმენტები, რომლებშიც აღწერილია სხვადასხვა პროცედურები, მაგალითად დოკუმენტების მართვის პროცედურა, ჩანაწერების მართვის პროცედურა, შიდა აუდიტის ჩატარების პროცედურა, შეუსაბამობების მართვის პროცედურა, მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედებების მართვის პროცედურა/

ექსპერტების აზრით, დაწესებულება მკაფიოდ ორიენტირებულია ხარისხის მართვის სფეროში საქმიანობის მუდმივ გაუმჯობესებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს სხვადასხვა ისეთი სამიზნე ჯგუფების გამოკითხვას, როგორიცაა - პროფესიული სტუდენტები, ადმინისტრაციული პერსონალი, აკადემიური პერსონალი, მასწავლებლები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულებები. კითხვარები ეხება როგორც სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, ასე ინფრასრტუქტურას, მატერიალურ ბაზას და ა.შ. გამოიყენება გამოკითხვის ელექტრონული სისტემა. გამოკითხულების, მაგალითად: სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარები; პერსონალის კმაყოფილების კითხვარები; კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; დამსაქმებელთა გამოკითხვა. ხორციელდება მონიტორინგი, აუდიტი, გამოკითხვის შედეგების ანალიზი, დგება შეუსაბამობათა დაკვირვების აქტი, მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებების გატარება. ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახური რეგუარუად ატარებს გამოკითხვის შედეგების ანალიზს

ინფორმაცია ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სამუშაო სქემებზე და გეგმებზე, ხარისხის სამსახურის კვლევები არის საჯარო და განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება;
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტაცია
  http://www.bsma.edu.ge/sub-4/page/2-13/index.html

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

- ინტერვიუ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ISO სტანდარტის უზრუნველყობის სამსახურის წარმომადგენლებთან.
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სამუშაო სქემები, გეგმები http://www.bsma.edu.ge/sub-4/page/2-16/index.html
- ხარისხის სამსახურის კვლევები http://www.bsma.edu.ge/sub-4/page/2-104/index.html
- ვებ გვერდზე განთავსებული ელექტრონული კითხვარები http://www.bsma.edu.ge/main/page/2-21/index.html

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“ რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი N53/ ქ. ბათუმი,ალექსანდრე გრიბოედოვის 1. სასწავლებელი განთავსებულია რამოდენიმე შენობაში და ის მთლიანად არის სახელმწიფო საკუთრებაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე. როგორც საჯარო რეესტრის ამონაწერიდან (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი [redacted] დასტურდება აკადემიას გააჩნია 15 შენობა ნაგებობა , რომელთა მთლიანი ფართი წარმოადგენს 16 865,54 (13 597,4 კვ.მ.+ 3 267,74 კვ.მ).

აქედან ცალკეული შენობა ნაგებობების ფართი შეადგენს: N1- 6490,4 კვ.მ; N2 – 2926 კვ.მ; N3 – 1015,5 N4 – 430,3კვ.მ; N5 -180,9კვ.მ;კვ.მ; N6 -50კვ.მ; N7 -22,1კვ.მ; კვ.მ; N8 -7,1კვ.მ; N9 -1836კვ.მ; N10 -80,6 კვ.მ;კვ.მ; N11-51,6 კვ.მ; N12 – 14,4კვ.მ; კვ.მ; N13 -431,9 კვ.მ; კვ.მ; N14 – 61.

აღსანიშნავია, რომ აკადემიას თავის საკუთრებაში გააჩნია სატვირთო გემი „CADET”, რომელიც აუცილებელია წარმოდგენილი პროგრამების საწარმოო პრაქტის უზრუნველყოფისათვის.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

	საქართველო, ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი 53/ ბათუმი, ალ. გრიბოედოვის 1	**16 865,54 კვ.მ.**

დასტურ

ადება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
წარმოდგენილი პროგრამების განხორციელებისათვის აკადემიას გამოყოფილი აქვს A ტიპის სასწავლო გარემოს 16 აუდიტორია (101, 125,123,121,119,124,325,1(ს.ც), 2(ს.ც),3(ს.ც),2,3,7,10,12,3103). თუმცა მათგან ზოგიერთი არის კომბინირებული და შეესაბამება A,B და C ტიპის სასწავლო გარემოს 25 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით. აუდიტორიები განთავსებულია როგორც ძირითად შენობაში, ასევე გარეთ მდგომ ცალკე 2 შენობაში და მეზღვაურთა მომზადების ცენტრში. პროფესიული მომზადების ცენტრის შენობაში დაგეგმილია ასევე 3 დამატებითი აუდიტორიის მოწყობა, სადაც ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. ვიზუალური დათვალიერებისას დაფიქსირდა, რომ აუდიტორიები მოწესრიგებულია, ჰიგიენა და სანიტარული ნორმები დაცულია. აუდიტორიებში არის შესაბამისი რაოდენობის მერხი და სკამი. დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ 6 აუდიტორიაში არ იყო დამონტაჟებული პროექტორები, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა პროექტორების შესყიდვის დოკუმენტები, სადაც ფიქსირდებოდა რომ აკადემიას შესყიდული აქვს 32 პროექტორი და როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პროექტორები დროებით მოხსნეს რემონტის გამო და ისინი ისევ დამონტაჟდება პროგრამის განხორციელებისას. აკადემიას გამოყოფილი აქვს B ტიპის სასწავლო გარემოს 3 აუდიტორია, შესაბამისად აღჭურვილი კომპიუტერებით, სულ 55 ერთეული კომპიუტერით. აკადემიას C ტიპის სასწავლო გარემოსათვის აქვს ნავიგაციის სიმულატორი (კონკრეტულად მხოლოდ პროფესიული სტუდენტებისათვის) სამანქანე დარბაზი, საზეინკლო საამქრო, სახარატო საამქრო, ხანძართან ბრძოლის სწავლების ტრენაჟორი, უსაფრთხოებისა და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის სასწავლო კაბინეტები, რომლებიც აღჭირვილია პროგრამით მოთხოვნილი შესაბამისი ინვენტარით. აკადემიის მფლობელობაშია ასევე აუზი, რომელიც გამოიყენება პირადი გადარჩენის მეთოდების შესწავლასა და წვრთნისათვის. აკადემიის სასწავლო გარემო იძლევა იმის საშუალებას, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები იყოს მიღწევადი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

- სტუდენტთა ზღვეული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს გემის საგემბანე/ სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას შექმნილი აქვს ის აუცილებელი გარემო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის. როგორც ვიზუალური დათვალიერების დროს დაფიქსირდა აკადემიას გააჩნია ელექტროენერგიის მოწოდების უწყვეტი სისტემა, ოთახებში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ აკადემიაში არის დიზელგენერატორი, რომელიც გამოიყენება ელექტროენერგიის მოწოდების შეფერხების შემთხვევაში. აკადემიაში უზრუნველყოფილია წყლის უწყვეტი მომარაგება და მათ შორის ყველა სველი წერტილები მარაგდება წყლით. აკადემიაში არსებობს სველი წერტილები ცალკე მამაკაცებისათვის და ცალკე ქალბატონებისათვის, ასევე შშმ პირებისათვის არის ცალე გამოყოფილი და სპეციალურად აღჭურვილი სველი წერტილი პირველ სართულზე.

აკადემიაში გათბობა უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირის უწყვეტი მომარაგებით. აუდუტორიებში არის გათბობის სისტემის რადიატორები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტთა ჯგუფმის მიერ ადგილზე გადამოწმების შედაგად, დაადგინა, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდში სრულად არ იყო წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ მთელ რიგ მოდულებში მითითებული ლიტერატურა, კერძოდ:ინტერპერსონალური კომუნიკაცია, რეოდენობრივი წიგნიერება, სამოქალაქო განათლება, ქართული ენა, გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გემის სამანქანე დანადგარების ექსპლუატაცია დამხმარე დონეზე, მექანიზმების ტექნიკური მომსახხურება-რემონტი, სამუშაო გარემოსა და მარაგების მართვა, სპეციალური ინგლისური სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურისთვის, გაცნობითი პრატუკა გემბანის გემბანის რიგითი მეზღვაურისთვის, გემის ტექნიკური მომსახურება, ნავიგაცია დამხმარე დონეზე, სამღებრო საქმე გემზე, სატვირთო ოპერაციებში მონაწილეობა, საზღვაო გზების გეოგრაფია, სპეციალური ინგლისური გემბანის რიგითი მეზღვაურისთვის.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ზემოაღნიშნულ მოდულების სასწავლო რესურსებში ცვლილებების შეტანა დაიგეგმა პროფრსიული მომზადების ცენტრის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო სხდომაზე (ოქმი N BSMA-001, 2019 წლის 21 იანვარი). **(დანართი 2)**

თუმცა დაწესებულებაში არსებული მოდულებში ცვლილებების შეტანის გართულებული მექანიზმის გამო ვერ მოხერხდა მოდულსებში ცვლილების დროული დამტკიცება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ინფორმაციის მიწოდება დადგენილ ვადებში. ექსპერტთა ვიზიტის დროს ცვლილებები არ იყო დამტკიცებული, შესაბამისად, ქვესტანდარტი 2.3 -ით დადგენილი მოთხოვნა, ფორმალურად დარღვეული, რაც ექსპერტების მიერ დაფიქსირგა, როგორც ხარვეზი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერება;
- დანართი 2– პროფრსიული მომზადების ცენტრის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო სხდომის ოქმი N BSMA-001, 2019 წლის 21 იანვარი.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემია თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის აქტიურად და ფართოდ იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. აკადემიას საკუთარი ელექტრონული ბაზების განთავსებისთვის გააჩნია 2 სერვერი, რომლის გამართულ მუშაობასა და დაცულობაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. აკადემიას აქვს ელექტრონული საინფორმაციო წყაროები: საკუთარი ვებ გვერდი bsma.edu.ge; bsma.ge. ელექტრონული ფოსტა info@bsma.edu.ge. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არის მრავალფეროვანი დაგანთავსებულია, როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენებზე. ბიბლიოთეკისათვის გააჩნია საერთაშორისო ელექტრონული რესურსი. აკადემიის სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციული ერთეულების თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერებით. წარმოდგენილი პროგრამების განხორციელებისათვის აკადემიას გამოყოფილი აქვს 55 ერთეული კომპიუტერი. აკადემიას გააჩნია შიდა ქსელი, და უზრუნველყოფილია ინტერნეტით სარგებლობა თავისუფალი წვდომის რეჟიმში, როგორც ადმინისტრაციული, ასევე მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, რომელიც ხორციელდება ბათუმის საზღვაო აკადემიის რექტორის 2012 წლის 12 სექტემბერს დამტიცებული დომუმენტის „საქმის წარმოება“ შესაბამისად.

ასევე აკადემიას შემუშავებული აქვს საქმის წარმოების ელექტრონული წესი ND 2-012-1, რომელიც დამტკიცებულია ბათუმის საზღვაო აკადემიის სენატის 2018 წლის 27 თებერვლის N 3/4 გადაწყვეტილებით“ აღნიშნული წესი აწესებს ელექტრონული საქმის წარმოების წესს, რომლისთვისაც დაწესებულება იყენებს დოკუმენტთა ელექტრონულ სისტემას (დეს). აღნიშნული წესი არეგულირებს აკადემიაში როგორც შიგა ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

გარედან შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვას, რეგისტრაციას, დამუშავებას, შესრულებას, შესრულებაზე მონიტორინგს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დოკუმენტაციის ვიზუალური დათვალიერებით;
- დოკუმენტი „ელექტრონული საქმისწარმოების წესი“;
- დომუმენტი „საქმის წარმოება“.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტრუქტურის შესაბამისად გამოყოფილი აქვს დამხმარე სტრუქტურული ერთეული - უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის კონტროლის სამსახური - რომლის მიზანს წარმოადგენს აკადემიაში სასწავლო პროცესის ხელშეწყობა, აკადემიის შენობის, ტერიტორიისა და მატერიალური ქონების დაცვა.
სამსახურის ამოცანებია:

1. დაიცვას აკადემიის წესდებისა და შინაგანაწესის, მოქმედი დებულებისა და ეთიკის კოდექსის დაცვა.
2. აკადემიის ტერიტორიაზე წესრიგის შენარჩუნება.
3. აკადემიის ქონების დაცვა.
4. აკადემიის მიერ დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძეიებებში მონაწილეობა და კონტროლი.

სახანძრო უსაფრთხოების განხორციელება.
ვიზიულური დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ აკადემიას უზრუნველყოფილი და დაცული აქვს დაწესებულებაში მომუშავე პეროსნალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. დაწესებულებას ყოველ სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული აქვს დამტკიცებული ევაკუაციის გეგმები, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები და ინვენტარი (ხელის ცეცხლმაქრები), რომლებიც შემოწმებულია და განახლებულია. აკადემიაში არსებობს სამედიცინო პუნქტი, სადაც შრომითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილია ექიმი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია პირველადი დახმარების გაწევისათვის. სამედიცინო პუნქტი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და წამლებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტრუქტურა;
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში არის ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის. ასეთი პირებისათვის დამონტაჟებულია 2 ლიფტი, არსებობს სველი წერტილები, დერეფნები, პანდუსები, აუდიტორიებში შესასვლელები ადაპტირებულია სპეციალურ გარემოსთან. აქვე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ პროგრამებს პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს მეზღვაურთა ჯანმრთელობის შემოწმების ფორმის წარდგენა, რაც გამორიცხავს შეზღუდული უნარის მქონე პირების დაშვებას პროგრამაზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალლიერება

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, ისტორია, (დაწესებულების სტრუქტურა, მიღწევები, საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

აკადემიის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს აკადემიის ოფიციალური ვებ-გვერდი bsma.edu.ge; bsma.ge. ვებ გვერდით შესაბამისად მართვის მიზნით დაწესებულებაში შემუშავებულია სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2018 წლის 27 თებერვლის N 1/4 გადაწყვეტილების საფუძველზე დამტკიცებული „საზღვაო აკადემიის ინფორმაციის მართვისა და ოფიციალური ვებ გვერდის ადმინისტრირების წესი".

გვერდი არის საკმაოდ ინფორმაციული, მასზე ინფორმაცია განთავსებულია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. ვებ-გვერდზე შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება ორგანიზაციის მისიასთან, მიზნებთან, სტრუქტურასთან, პროგრამებთან, პერსონალთან, ნორმატიულ დოკუმენტაციასთან და სხვასთან დაკავშირებით. ვებ-გვერდი არის განახლებადი, და მასზე სისტემატურად ხორციელდება სიახლეების განთავსება. აკადემიას შემუშავებული აქვს შესაბამისი დოკუმენტი „საზღვაო აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესი" რომელიც არეგულირებს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსების პროცედურასა და განსაზღვრავს ინფორმაციის განთავსებასა და ხარისხზე შესაბამისად პასუხისმგებელ პიროვნებებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებ გვერდით http://www.bsma.edu.ge/
- დოკუმენტი „საზღვაო აკადემიის ინფორმაციის მართვისა და ოფიციალური ვებ გვერდის ადმინისტრირების წესი".

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2018 წლის 14 მარტის N 4/3 გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნული გეგმაში ძირითადი აქცენტი უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებაზე კეთდება. ასევე შემუშავებულია სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 2018 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სსიპ -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიიის სენატის 2018 წლის 14 მარტის N 4/4 გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნულ გეგმაში პროფესიული განათლების მიმართულებით მხოლოდ ერთი ამოცანა „ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და ამოქმედება“ იყო განსაზღვრული“.

2018 წლის 10 სექტემბერს დამტკიცდა „პროფესიული მომზადების ცენტრის წლიური სამოქმედო გეგმა“ (2018-2019 წწ), სადაც წარმოდგენილია იმ სამუშაოების ჩამონათვალი, რაც ერთი წლის განმავლობაში უნდა შესრულდეს პროფესიული სწავლების განვითარების მიმართულებით, მითითებულია შესრულების ვადები. **(დანართი 3).** გარდა ამისა დაწესებულებამ წარმოადგინა „2018 წლის 1 სექტემბრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საიმპლემენტაციო გეგმა (უსდ-პროფესიული)“, რომელიც ითვალისწინებს დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში პროფესიუი განათლების კუთხით ცალკე ქვესტრტეგიის ჩამოყალიბებას, რისთვისაც მოხდება არსებული რედაქციის ანალიზი და ახალი პროექტის შემუშავება. აღნიშნული სამუშაო უნდა დასრულდეს 2019 წლის ივნისში. **(დანართი 4).**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2018 წლის სამოქმედო გეგმია;
- დანართი 3-„პროფესიული მომზადების ცენტრის წლიური სამოქმედო გეგმა“ (2018-2019 წწ);
- დანართი 4- 2018 წლის 1 სექტემბრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საიმპლემენტაციო გეგმა (უსდ-პროფესიული)“.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში სენატის 2018 წლის 27 თებერვლის N3/3 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურა“, სადაც დაწვრილებით გაწერილია პერსონალის (მათ შორიდ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის) სამსახურში მიღების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ადამიანური რესურსის პირადი საქმეების, მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებისა და დანიშვნის აქტების დეტალური შესწავლა, ასევე მათთან (პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან) შეხვედრა და გასაუბრება.

შრომის შინაგანაწესითა და ბიბლიოთეკის დებულებით განსაზღვრული სამუშაო საათები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურა“;
- შრომის შინაგანაწესი;
- პერსონალის დანიშვნის შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანებები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიურება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. ექსპერტების მიერ პროფესიული განათლების მასწავლებელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ მათი განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ასევე, ექსპერტების მიერ პირადი საქმეების გადამოწმებით გაირკვა, რომ მეწარმეობის ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირების უმრავლესობა არის იურიდიული განათლების მქონე პირები. აღნიშნული მოდულის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათ აქვთ შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება და არ ექმნებათ სირთულეები მეწარმეობის იმ შედეგების მისაღწევად, რაც უშუალოდ ეკონომიკურ ასპექტებს მოითხოვს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი“, რომელიც დამტკიცებულია სენატის 2018 წლის 27 ნოემბრის N13/12 გადაწყვეტილების საფიძველზე.პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კონტინგენტის) განსაზღვრისას გათვალისწინებულია შემდეგი კრიტერიუმები: ადამიანური რესურსი; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; სასწავლო გარემოს მოდელი, კომბინირებული გარემოს არსებობის საშუალება;, A, B, C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში); პრაქტიკის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადი თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ, კერძოდ:

- გემის სანამქანე განყოფილების ექსპლუატაცია - 150 პროფესიული სტუდენტი
- გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - - 150 პროფესიული სტუდენტი

ექსპერტების აზრით, დაწესებულების გადაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ სრულიად რეალისტურია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- „პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი“,
- ინტერვიურება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის დროს შემოწმდა მასწავლებელთა პირადი საქმეები და ხელშეკრულებები. ავტორიზაციისთვის წარმოდგენილი პროგრამების პროფესიული განათლების მაწავლებლებთან, გაფორმებულია წინარე ხელშეკრულები.

მასწვალებელთა პირადი საქმეების შემოწმების დროს გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოწვეულ მასწავლებელთა შერჩევის წესი, რომლის მიხედვით, დაწესებულებას გაწერილი აქვს, კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტები. პირადი საქმეების შესწავლის დროს, გარკვეული რაოდენობის მასწავლებელთა პირად საქმეებში, სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი საჭირო დოკუმენტები.

ასევე, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ წესდებაში და მარეგულირებელ დოკუმენტაციაში არ არის გამიჯნული ცნებები მოწვეული მასწავლებლი (რომელიც აკადემიური პროგრამების განმახორციელებელია) და პროფესიული მასწავლებლი, შესაბამისად პროფესიული მასწავლებლის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც რიგ შემთხვევაში შეუსაბამოა.

რეკომენდაციები:

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები შესაბამისობაში მოვიდეს მოწვეულ მასწავლებელთა შერჩევის წესში წარმოდგენილ მოთხოვნებთან, დოკუმენტების წარმოდგენასთან დაკავშრებით;
- წესდებაში და მარეგიულირებელ დოკუმენტაციაში გაიმიჯნოს მოწვეული მასწავლებლის და პროფესიული მასწავლებლის ცნება,მკაფიოდ ჩამოყალიბდეს პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პროფესიულ განათლებაში არსებული მოთხოვნების შესაბამისად;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მოწვეულ მასწავლებელთა შერჩევის წესი, დამტკიცებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მიერ; 18.07.2017;
- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	როფესიული ანათლების აფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი ტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	გემის საგემბანე გაწყოფილების ექსპლუატაცია	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე გაწყოფილების ექსპლუატაციაში 111054	**91**	**106**	ქართული	ბათუმი, რუსთაველის ქ. N 53	0	150
3	გემის საწამქანე გაწყოფილების ექსპლუატაცია	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე გაწყოფილების ექსპლუატაციაში 111055	**87**	**102**	ქართული	ბათუმი, რუსთაველის ქ. N 53	0	150

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2. პროფრსიული მომზადების ცენტრის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო სხდომის ოქმი NBSMA-001, 2019 წლის 21 იანვარი.

დანართი 3. „პროფესიული მომზადების ცენტრის წლიური სამოქმედო გეგმა“ (2018-2019 წწ);

დანართი 4. 2018 წლის 1 სექტემბრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საიმპლემენტაციო გეგმა (უსდ-პროფესიული)“.

18.02.2019 წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი